სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 დეკემბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/117

„ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, 66-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების, ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, ,,სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალის, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის, რომელთა ფარგლებშიც ელექტრონული სწავლება იქნება დაშვებული დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №142/ნ ბრძანების, ,პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის № 111/ნ ბრძანების, „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 01 ივლისის №113/ნ ბრძანების, საქართველოს განათლების და მეცნიერებისა მინისტრის 2011 წლის 04 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების (მათ შორის N6 დანართი - სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით; ვებგვერდზე გამოქვეყნებული - 30.08.2024წ.) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. „ბსუ-ს საგანმანათლებლო **პროგრამების შემუშავების,** დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის **№06-01/54 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, N1 დანართის **(წესის):**

ა) პირველი მუხლის („ზოგადი დებულებები“) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საგანმანათლებლო პროგრამების **შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი** (შემდგომში - წესი/მეთოდოლოგია/პროცედურები) **განსაზღვრავს** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი ან ბსუ) საბაკალავრო, სამაგისტრო, დოქტორანტურის, მედიცინის/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამების, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, მასწავლებლის მომზადების/სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიანი), ქართულ ენაში მომზადებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიას, ასევე პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს.“;

ბ) მე-2 მუხლის („ტერმინთა განმარტებები“) პირველი პუნქტის **„ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები:**

„მ) აკრედიტაცია - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გარე შეფასების მექანიზმი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის გზით, ხელს უწყობს დაწესებულებაში სისტემატური თვითშეფასების პროცესის დამკვიდრებას და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებას;

ნ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის მიზნებისთვის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით კლასიფიცირებული, შინაარსობრივი ნიშნით (პროგრამის შინაარსი, სწავლის მიზნები და შედეგები) დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების (არაუმეტეს 8 პროგრამის) ერთობლიობა. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული (N65/ნ, 04.05.2011წ.) აკრედიტაციის დებულების N5 დანართის შესაბამისად;

ო) სამინისტრო - საქართველოს სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს და უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში ნორმატიული აქტების შესრულებას და გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს განათლების და მეცნიერების სფეროში.

გ) მე-3 მუხლის („პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება“) **მე-10 პუნქტის „ა“** ქვეპუნქტი **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს: საგანმანათლებლო პროგრამის <u>სასწავლო გეგმა</u> **(ნიმუში - დანართი №1)**; <u>სილაბუსები</u> **(ნიმუში - დანართი №2)**; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; კურიკულუმის რუკა; პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა **(ნიმუში - დანართი №3);** დადასტურება ბსუ-ს ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში ხელმისაწვდომობის შესახებ; პროგრამის პირველადი ხარჯთაღრიცხვა/ბიუჯეტი

(ნიმუში/ფორმა მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად); **სამინისტროს თანხმობა** პროგრამის უცხო ენაზე განხორციელების თაობაზე; საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დასკვნები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან (სასურველია მათ შორის ერთი მაინც იყოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლისგან);";

დ) მე-3 მუხლის („პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება") მე-15 პუნქტის შემდეგ **დაემატოს მე-16 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„16. აკრედიტაციის მიღების მიზნით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს წარედგინოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ფარგლებში, შინაარსობრივი ნიშნით (პროგრამის შინაარსი, სწავლის მიზნები და შედეგები) დაჯგუფებულ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად. **ერთი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა დასაშვებია თუკი ბსუ:** ა) „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" შესაბამის სწავლის სფეროში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას, **რომლის დაჯგუფება ვერ ხერხდება** სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან <u>აკრედიტაციის დებულების N5 დანართის შესაბამისად;</u> ბ) პირველი აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარადგენს სააკრედიტაციო განაცხადს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის კლასტერსაც შესაბამის წელს არ უწევს აკრედიტაცია; გ) აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარადგენს პირობითი აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამას; **დ)** აკრედიტაციის მიზნით, ცენტრში წარადგენს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას **ან** ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.";

ე) მე-5 მუხლის („საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი") **პირველი პუნქტის „ვ"** ქვეპუნქტი **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ბსუ-ს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია განისაზღვროს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად: წერითი/ზეპირი/კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში (საგამოცდო საკითხები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი)/უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე; სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დაწყებისათვის, თუ რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.). უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში **პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა** განისაზღვროს პროგრამის სწავლების შესაბამისი უცხოური ენის **არანაკლებ B1 დონეზე** ცოდნის ვალდებულება (კანონმდებლობის, შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით). უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურის პროგრამებზე/ერთსაფეხურიან პროგრამებზე ჩარიცხვის რეგულაცია/დაშვების წინაპირობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების/ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებების შესაბამისად. ბსუ-ს დოქტორანტურაში მიღების წესი (პროგრამაზე დაშვების წინაპირობები) განისაზღვრება

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული დოქტორანტურის დებულებით.“;

ვ) მე-6 მუხლის („პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობა“) **მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს 3[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3[1]. ბსუ-ს **დოქტორანტურის** საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს ბსუ-სთან აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ამასთან, უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია (გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი/ები), საქართველოს კანონმდებლობის, ამ წესისა და ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობა დამატებით განისაზღვრება ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებით.“;

ზ) მე-8 მუხლის („საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურა“) **პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს საკანონმდებლო ცვლილებები, პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირი, დარგის განვითარების ტენდენციები და სხვა. პროგრამის ცვლილებების ინიცირება უნდა მოხდეს ისე, რომ დაცული იქნეს ცვლილების პროექტის შემუშავება-განხილვა-დამტკიცებისათვის ამ წესით, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების დებულებით/რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურები და ვადები. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება მიღებული უნდა იქნეს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირით ადრე.

2. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიცირება, პროექტის შემუშავება-მომზადება, განხილვა და დამტკიცება ხორციელდება წინამდებარე წესით პროგრამის შემუშავება-დამტკიცებისათვის განსაზღვრული მეთოდოლოგიის/პროცედურის შესაბამისად, კერძოდ, უნდა განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

ა) პროგრამაში შესატანი ცვლილების ინიცირებას ახდენს (პირველად პროექტს ამზადებს) პროგრამის ხელმძღვანელი (ები);

ბ) ცვლილების პროექტზე მუშაობის პროცესში ჩართული უნდა იყოს პროგრამის სამუშაო ჯგუფი (საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით, ახდენს პროგრამის <u>სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განახლების</u> და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანის ინიცირებას), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სხვა დაინტერესებული პირები;

გ) პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავს და აფასებს ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი;

დ) ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამაში შესატანი ცვლილებების პროექტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით, წარედგინება დასამტკიცებლად ფაკულტეტის საბჭოს;

ე) პროგრამაში შესატან ცვლილებების პროექტზე ფაკულტეტის საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროექტი, სათანადო რეკომენდაციებით უბრუნდება გადასამუშავებლად პროგრამის სამუშაო ჯგუფს, ხოლო ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი, შესაბამის პროგრამაში შესატანი ცვლილებების განხილვა-დამტკიცების შესახებ, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებასთან და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტთან ერთად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით (ვიზირებით), წარედგინება ბსუ-ს რექტორს/აკადემიურ საბჭოს;

ვ) პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება ეგზავნება შესაბამის ფაკულტეტს (რომელიც უზრუნველყოფის პროგრამაში შეტანილი ცვლილებების დაგზავნას პროგრამის ხელმძღვანელის, სამუშაო ჯგუფის წევრებისა და პერსონალისათვის, ასევე შესაბამისი სტუდენტების ინფორმირებას), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ცვლილების განხორციელებასთან;

ზ) პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე. ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაში შეტანილი ცვლილებები აისახოს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამისი პროგრამის ველში (პროგრამაში ცვლილების შეტანის თარიღის და პროგრამის აკრედიტაციის ვადის მითითებით), აკადემიური საბჭოს დადგენილების მიღებიდან 1 კვირაში;

თ) იმ შემთხვევაში, თუკი პროგრამაში ცვლილება ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილება ეგზავნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (ფაკულტეტის დეკანის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიცირებით და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვიზირებით);

ი) საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (შესაბამისი გადაწყვეტილება, საბჭოს სხდომის ოქმის ნომერი და თარიღი) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აისახება მონაცემთა ბაზაში (ფაკულტეტის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების სისტემატიზაციის მიზნით ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამუშავებული ინფორმაციის ერთობლიობა/ბაზა).“;

თ) დანართი N2 (სასწავლო კურსის სილაბუსი) **ჩამოყალიბდეს ახალი, ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით** (N1 დანართი).

2. წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული წესი და აისახოს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიულ ცნობარში).

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს (მართვის ორგანოებს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, პროგრამების ხელმძღვანელებს), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**